

ჟურნალისტური მისია მიტოვებულ მინამე

Author: [Heather Yundt](#)

IWPR-ის ორგანიზებით ჟურნალისტების ჯგუფი დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის საზღვრისპირა სოფელში ჩავიდა.

სქელი ტალახით დაფარული გზით, რამდენიმე სოფლისა და ქართული პოლიციის ორი საგუშაგოს გავლით, მივაღწიეთ ჩვენი დანიშნულების ადგილს.

მესამე და ბოლო საკონტროლო გამშვებ პუნქტთან, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, კამუფლაჟში ჩაცმული ქართველი პოლიციელები დაგვხვდნენ.

გზის გასწვრივ, ასი მეტრის მოშორებით, რუსი სამხედროები გვითვალთვალებდნენ.

როგორც ცნობილია, ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარედ, ქართულ და რუსულ საკონტროლო გამშვებ პუნქტებში შორის, რამდენიმე სოფელია მოწყვეტილი.

ერთ-ერთი ასეთი ბუფერული სოფელია ზარდიანთკარი, რომელშიც ამჟამად თითქმის არავინ ცხოვრობს. შემორჩენილი მოსახლეობა, ომიდან ექვსი წლის შემდეგაც, გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება. ქართულ მედიაში ამ ადამიანების ხმა იშვიათად ისმის.

ადგილობრივების სატყვიარის ადგილზე გასაცნობად IWPR-მა ზარდიანთკარში, დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს, თოთხმეტი ჟურნალისტისგან შემდგარი ჯგუფი ჩაიყვანა.

„სწორია, რომ ჟურნალისტები ახლა აქ არიან“, – ამბობს რადიო თავისუფლების საქართველოს ბიუროს დირექტორი და მედია სკოლა „თავისუფლების“ ხელმძღვანელი მარინა ვაშაყვაძე. „იმისთვის, რომ გაარკვიო საკითხი და თქვა სიმართლე, ხშირად უნდა გახვიდე ადგილზე, უსმინო ხალხს და საკუთარი თვალთ ნახო, რა ხდება იქ“.

2008 წლის აგვისტოში, საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე, ზარდიანთკარში მცხოვრები ქართული მოსახლეობა საკუთარი სახლებიდან გამოიქცა და გორში, ერთ-ერთი საბავშვო ბაღს შეაფარა თავი. მათი უმეტესობა უკან დაბრუნებას აღარ ფიქრობს. მათი აზრით, ქართული საგუშაგოს მიღმა დარჩენილ სოფელში ისინი უსაფრთხოდ ვერ იცხოვრებენ.

თუმცა, იმის გამო, რომ ოფიციალურად, სოფელი არ ითვლება ოკუპირებულ ზონად, მისი მცხოვრებლები დევნილის სტატუსს ვერ იღებენ, შესაბამისად, ვერ სარგებლობენ ვერც სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით და ვერც სხვა შეღავათებით.

ზარდიანთკარში და მის მსგავს სოფლებში, უსაფრთხოების ზომებისა და ფინანსების ნაკლებობის გამო, ქართველი ჟურნალისტები ხშირად ვერ ჩაიღიან. სწორედ ამიტომ, IWPR-ის ინიციატივით მოეწყო ეს ჟურნალისტური მისია. თავდაპირველად, თბილისელი ჟურნალისტები, IWPR-ის თბილისის ოფისის თანამშრომლებთან ერთად, გაემგზავრნენ გორში, სადაც მათ შეუერთდნენ ადგილობრივი მედიასამუშაოების წარმომადგენლები. გორში, ჟურნალისტები შეხვდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო მსოფლიოს“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ გორის ოფისის წარმომადგენლებს, რომლებმაც ჟურნალისტებს ზარდიანთკარელების პრობლემების შესახებ მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია.

„შეხვედრამ ძალიან პოზიტიურად ჩაიარა“, – განაცხადა „უსაფრთხო სამყაროს“, პროექტის კოორდინატორმა ნათია ნადირაძემ. „მივესალმები ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს დედაქალაქში მომუშავე ჟურნალისტების და შესაბამისად, უფრო ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარედ არსებული სიტუაციის შესახებ“.

შეხვედრის შემდეგ, ჟურნალისტები ზარდიანთკარში, ადგილობრივ მოსახლეობასთან შესახვედრად გაემგზავრნენ.

„ჩემთვის ეს მისია იყო ძალიან საინტერესო და დაუვიწყარი“, – ამბობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIIPA) ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი თეონა გოდერძიშვილი. „ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა და ყველაფრის საკუთარი თვალთ ნახვა, რადგან სიტუაცია ადგილზე ძალიან განსხვავდება მედიასამუშაოების მიერ მონოტონური სურათისგან. თანაც, ამ ადამიანების შესახებ მედიაში არცთუ ისე ხშირად შეხვდები ინფორმაციას“.

უკანა გზაზე, ჟურნალისტები გორის საბავშვო ბაღში გაჩერდნენ და ზარდიანთკარელ დევნილებს შეხვდნენ.

გრიგოლ მკლავიშვილმა, რომელიც აქ თავის ცოლთან ერთად ცხოვრობს, ჟურნალისტებს სახლიდან გამოქცევის ისტორია მოუყვა.

„ჟურნალისტებმა სწორი შეკითხვები დაგვისვეს“, – ამბობს ის. „უკან ვერ დავბრუნდები. სახლი, ნარგავები ... ყველაფერი განადგურდა ომის დროს. ჩვენ ძალიან მოხუცები ვართ, იმისთვის რომ ჩვენ ორნი ამას ყველაფერს გავუმკლავდეთ“.

მისიის შემდეგ, მასში მონაწილე ჟურნალისტების მიერ მომზადებული სიუჟეტები გავიდა რადიო „იმედის“, ტელეკომპანია „დეას“ და რადიო „კვირის პალიტრის“ ეთერში; დაიბეჭდა ორი სტატია ონლაინ გამოცემა 17Masi.org-სა და გაზეთ „ქართლოსში“.

აღნიშნული მისია არის IWPR მიმდინარე საქმიანობის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებს შორის ურთიერთობების აღდგენას და კონფლიქტის მოგვარებას.

„IWPR-ის ჟურნალისტური მისიები მიზნად ისახავს გააშუქოს საზოგადოების იმ ნაწილის საკითხები, რომელსაც არ მიუწვდება ხმა მედიაზე. გვქონდა პატივი იქ ვყოფილიყავით იმ ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან ერთად, ვისთვისაც ფრონტის წინა ხაზზე მცხოვრები ადამიანების პრობლემები მნიშვნელოვანია,“ – აცხადებს IWPR-ის კავკასიის პროგრამის რეგიონული დირექტორი ბექა ბაჯელიძე. „ადგილი, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, არის ეთნიკურად შერეული, ქართულ-ოსური სოფელი, სადაც ისეთმა ღირებულებებმა, როგორცაა ნდობა, სიბრძნე და ტოლერანტობა ურთულეს გამონკვევებს გაუძღეს და დაამტკიცეს, რომ სწორედ ეს ფასეულობები წარმოადგენს საფუძველს გრძელვადიანი მშვიდობის დასამყარებლად“.

ჰიზერ იანდტი, IWPR-ის ტრენერი და მულტიმედია პროდიუსერია.

Location: [Georgia](#)
[South Ossetia](#)
Topic: [Conflict resolution](#)
[Refugees](#)
Focus: [Reporting Impact](#)

%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90-
%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A-
%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94